სახელმწიფო შესყიდვების
სააგენტოს თავმჯდომარის
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

KA080146853122922

№ 1047 28 / მარტი / 2022 წ.

შპს „გია კონსტრაქშენის“ შავ სიაში რეგისტრაციის შესახებ

შემსყიდველი ორგანიზაცია: დმანისის მუნიციპალიტეტის მერია;

ტენდერის ნომერი: NAT190015582;

შესყიდვის ობიექტი: 45200000 – მთლიანი ან ნაწილობრივი სამშენებლო სამუშაოები და სამოქალაქო მშენებლობის სამუშაოები;

მიმწოდებელი: შპს „გია კონსტრაქშენ“ (ს/ნ: 400104409);

წერილობითი შეტყობინების საფუძველი: სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულება.

აღწერილობითი ნაწილი

1. ადმინისტრაციული წარმოების დაწყება

1.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოში 2022 წლის 27 იანვარს წარმოდგენილ იქნა დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის 2022 წლის 27 იანვრის №108-108220273 წერილობითი შეტყობინება (რეგისტრაციის № 772), რომლითაც სააგენტოს ეცნობა შპს „გია კონსტრაქშენის“ (ს/ნ: 400104409) მიერ NAT190015582 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული 2019 წლის 22 ოქტომბრის №266 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების თაობაზე.

1.2. სააგენტომ შპს „გია კონსტრაქშენს“, სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში მის პროფილში მითითებული ელექტრონული ფოსტის მისამართის giazaza@live.com მეშვეობით, 2022 წლის 3 თებერვლის №393 წერილით აცნობა სააგენტოში შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების წარმოდგენის თაობაზე და, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-5 მუხლის მე-5 პუნქტის შესაბამისად, სთხოვა ხსენებულ საქმეზე წერილობითი განმარტების წარმოდგენა. მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

2. შემსყიდველი ორგანიზაციის პოზიცია

შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინების თანახმად, მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 22 ოქტომბრის № 266 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები, კერძოდ, საგარანტიო ვადაში დეფექტების აღმოფხვრაზე განაცხადა უარი.

3. მიმწოდებლის პოზიცია

ადმინისტრაციული წარმოების პროცესში მიმწოდებელს განმარტება არ წარმოუდგენია.

4. სააგენტოს მიერ დადგენილი გარემოებები

4.1. 2019 წლის 22 ოქტომბერს, NAT190015582 ელექტრონული ტენდერის საშუალებით, დმანისის მუნიციპალიტეტის მერიასა და შპს „გია კონსტრაქშენს“ (ს/ნ: 400104409) შორის დაიდო № 266 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მიმწოდებელს ხელშეკრულების

გაფორმებიდან 90 კალენდარული დღის ვადაში უნდა შეესრულებინა დმანისის მუნიციპალიტეტის სოფელ ჯავახში სპორტული მოედნის, საზოგადოებრივი რეტერატისა და სკვერის მოწყობის სამუშაოები. ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 452 000 ლარი, ხოლო მოქმედების ვადად – 2020 წლის 20 თებერვალი.

4.2. მხარეთა შორის გაფორმებული 2020 წლის 24 აპრილის შეთანხმებით, ხელშეკრულების ღირებულებად განისაზღვრა 472 921,18 ლარი.

4.3. მხარეთა შორის გაფორმებული შეთანხმებებით რამდენჯერმე გაიზარდა ხელშეკრულების მოქმედების ვადა და საბოლოო ვადად განისაზღვრა – 2021 წლის 31 იანვარი.

4.4. №266 ხელშეკრულების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადა შეადგენს საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 2 წელს. იმავე მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, შესრულებული სამუშაოს საგარანტიო ვადის განმავლობაში რაიმე წუნის (ნაკლოვანებები, დეფექტი) აღმოჩენის შემთხვევაში მიმწოდებელი ვალდებულია შეტყობინების მიღებიდან შემსყიდველის მიერ განსაზღვრულ გონივრულ ვადაში საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს მისი აღმოფხვრა.

4.5. მხარეთა შორის 2021 წლის 4 ოქტომბერს გაფორმდა საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი.

4.6. შემსყიდველი ორგანიზაცია 2021 წლის 7 დეკემბრის №108-1082134113 და 2021 წლის 22 დეკემბრის №108-108213568 წერილებით მიმწოდებელს აცნობებდა, რომ სკვერის ოვალური ძელსკამი საჭიროებდა შეღებვას, ასევე დამწვარი იყო სკვერისა და სტადიონის განათებები, დაზიანებული იყო სკვერში არსებული ფანჩატური, საიდანაც ჟონავდა წყალი, დაზიანებულიი სტადიონის შემოღობვის მავთულბადე და ფეხბურთის კარის ძელი. ამავე წერილებით შემსყიდველი ორგანიზაცია მიმწოდებელს მოუწოდებდა 10 კალენდარული დღის ვადაში გამოესწორებინა აღნიშნული ხარვეზები.

4.7. საქმის მასალებით დგინდება, რომ მიმწოდებელს არ ჩაბარებია შემსყიდველი ორგანიზაციის 2021 წლის 7 დეკემბრის №108-1082134113 და 2021 წლის 22 დეკემბრის №108-108213568 წერილები.

4.8. მიმწოდებელი 2022 წლის 10 იანვრის წერილით შემსყიდველ ორგანიზაციას აცნობებდა, რომ სპორტულ მოედანზე არსებული დაზიანებების აღმოსაფხვრელად გამოეყენებინა სადაზღვევო გარანტია.

4.9. შემსყიდველმა ორგანიზაციამ 2022 წლის 12 იანვრის № 108-1082201229 წერილით მიმწოდებელს განმეორებით მიმართა 10 კალენდარული დღის ვადაში ხარვეზების გამოსწორების თაობაზე.

4.10. დმანისის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის 2022 წლის 20 იანვრის № 3 სატელეფონო შეტყობინების ოქმით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა უარი განაცხადა ხარვეზების აღმოფხვრაზე.

სამოტივაციო ნაწილი

5. შემაჯამებელი დასკვნა

საქმეში არსებული მტკიცებულებებისა და გარემოებების შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე, სააგენტო მიიჩნევს, რომ შპს „გია კონსტრაქშენ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

6. გამოყენებული სამართლებრივი აქტები

სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესი და პირობები“.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-3 მუხლის მე-4 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, სახელმწიფო შესყიდვის ნებისმიერი საშუალებით განხორციელებისას, გარდა კონსოლიდირებული ტენდერისა, პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველია, თუ მიმწოდებელმა ვერ შეასრულა ან არაჯეროვნად შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები. იმავდროულად, აუცილებელია, რომ ხელშეკრულების მოქმედების ვადა იყოს გასული ან ხელშეკრულება ვადაზე ადრე იყოს შეწყვეტილი.

7.2. იმავე წესის მე-7 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, საქმეში არსებული გარემოების გამოკვლევის, შეფასებისა და ურთიერთშეჯერების შედეგად, სააგენტო ადგენს, არსებობს თუ არა პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს ამ მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული გარემოებები, სააგენტო იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/ მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის შესახებ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ არსებობს პრეტენდენტის/მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების საფუძველი, სააგენტო, ამ მუხლის შესაბამისად, იღებს გადაწყვეტილებას პრეტენდენტის/მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ.

7.3. განსახილველ შემთხვევაში, სააგენტო ყურადღებას ამახვილებს მიმწოდებლის 2022 წლის 10 იანვრის წერილზე და აღნიშნავს, რომ მიმწოდებელს არ უარყვია საგარანტიო ვადაში წარმოქმნილი ხარვეზების არსებობა და მათ გამოსწორებაზე არც საკუთარი პასუხისმგებლობა გამოურიცხავს. შესაბამისად, საქმის მასალებით დგინდება, რომ მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა 2019 წლის 22 ოქტომბრის № 266 სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (საგარანტიო ვადაში არ გამოასწორა სპორტული მოედნის დეფექტები). ამდენად, სახეზეა მიმწოდებლის გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა.

7.4. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, გაფრთხილების ან შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილების მიღებისას, სააგენტო, საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებებთან ერთად, დამატებით ითვალისწინებს დარღვევის სიმძიმეს, პრეტენდენტის/მიმწოდებლის მანამდე მიღებული გაფრთხილების ან/და შავ სიაში რეგისტრაციის ფაქტ(ებ)ს.

7.5. აღსანიშნავია, რომ შპს „გია კონსტრაქშენს“ (ს/ნ: 400104409) 2021 წლის 31 დეკემბერს მიეცა გაფრთხილება NAT200009588 ელექტრონული ტენდერის საშუალებით დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულების გამო. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-5 პუნქტის თანახმად, გაფრთხილება გამოიყენება ერთხელ და იგი მოქმედებს ერთი წლის განმავლობაში. შპს „გია კონსტრაქშენის“ გაფრთხილების მოქმედების ვადა კი იწურება 2022 წლის 31 დეკემბერს.

7.6. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის № 19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, შავ სიაში დარეგისტრირების შესახებ გადაწყვეტილება მიიღება იმ შემთხვევაში, თუ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ წარდგენილი ინფორმაცია სრულად აკმაყოფილებს ამ წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და არ არის სახეზე შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძველი.

7.7. სააგენტო მიიჩნევს, რომ შემსყიდველი ორგანიზაციის წერილობითი შეტყობინება აკმაყოფილებს ზემოხსენებული წესის მე-3 და მე-4 მუხლებით განსაზღვრულ მოთხოვნებს. ამასთან, სახეზეა მიმწოდებლის შავ სიაში დარეგისტრირების წინაპირობა და არ არსებობს მისი შავ სიაში დარეგისტრირებაზე უარის თქმის ან გაფრთხილების საფუძვლები, რადგან მიმწოდებელმა არაჯეროვნად შეასრულა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები (საგარანტიო ვადაში არ გამოასწორა სპორტული მოედნის ხარვეზები). შესაბამისად, მოცემული დარღვევისა და მიმწოდებლის მანამდე არსებული გაფრთხილების ფაქტის გათვალისწინებით, შპს „გია კონსტრაქშენ“ უნდა დარეგისტრირდეს შავ სიაში.

სარეზოლუციო ნაწილი

სააგენტომ იხელმძღვანელა სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 29 ოქტომბრის №19 ბრძანებით დამტკიცებული „შავი სიის წარმოების წესისა და პირობების“ მე-7 მუხლის მე-6 პუნქტით და დაადგინა:

1. შპს „გია კონსტრაქშენ“ (ს/ნ: 400104409) 2022 წლის 29 მარტს დარეგისტრირდეს შავ სიაში.

2. ამ განკარგულების აღსრულება დაევალოს სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს ინფორმაციული ტექნოლოგიების დეპარტამენტს.

3. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ხელმოწერილია/შტამპდასმულია ელექტრონულად ზაზა ნანობაშვილი